ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 3"-ის დამფუძნებლების კრების ოქმი

თბილისი

" 17 " აპრილი 2014წ

2014 წლის 17 აპრილს ჩატარდა იბა "დელისი 3"-ის დამფუძნებლების საერთო კრება.

კრებას ესწრებოდა იბა "დელისი 3"-ის დამფუძნებელი წევრები:

მურად მეფარიშვილი პ/ნ 01008006203,

ავთანდილ ოდიშელიძე პ/ნ 01024053003,

ვეფხია მამფორია პ/ნ 01004009830,

გიზო გოგოძე პ/ნ 01003001523,

მალხაზ ღვინიანიძის წარმომადგენელი (რწმუნებულება №140252514 19.03.2014წ.)

გიორგი გოგოძე პ/ნ 01008040523.

მერი ბუხრაძეის უფლებამონაცვლე (ხელშეკრულება რ/ნ 1-18308 08.12.2008წ. და ხელშეკრულება რ/ნ 10058044 20.10.2010წ. ნოტარიუსი ნ.გინტური)

ნაირა ასპანიძე პ/ნ 010360052049

კრებისთავმჯდომარე: იბა "დელისი 3"-ის თავმჯდომარე გიზო გოგოძე

კრების მდივანი: ვეფხია მამფორია

დღის წესრიგი:

1. იბა "დელისი 3"-ის დაფუძნების კრების ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.
2. ამხანაგობაში ფართის შემძენი პირების იბა "დელისი 3"-ის წევრებად მიღება.

3. იბა "დელისი 3"-ის თავმჯდომარისათვის საპროექტო, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის გადაწყვეტილებების მიღებაზე ერთპიროვნული უფლებამოსილების მინიჭება.

მოისმინეს:

მომხსენებელმა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 3"-ის თავმჯდომარე გიზო გოგოძემ. კრებას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. 2005 წლის 11 მაისის ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ დამოწმებულ (რეესტრი 1-5723) იბა "დელისი 3"-ის დაფუძნების შესახებ კრების ოქმში, არაა მითითებული ამხანაგობაში ფართის შემძენი პირების ამხანაგობის წევრებად მიღების წესი.
2. ამხანაგობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განისაზღვროს ამხანაგობის წევრად მიღების წესი, კერძოდ:
   – ფართის შემძენი პირები, იბა "დელისი 3"-თან ხელშეკრულების გაფორმებისას, მშენებლობის დასრულებამდე მიღებული იყვნენ (გაწევრიანდნენ) იბა "დელისი 3"-ის წევრებად.
3. იბა "დელისი 3"-ის მიზნებიდან გამომდინარე, ამხანაგობის წევრების ინტერესები საპროექტო სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის, ასევე ამ დავალების ჯეროვნად შესრულების მიზნით სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას წარმოადგინოს იბა "დელისი 3"-ის თავმჯდომარემ, ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილმა პირმა.
4. 2005 წლის 11 მაისის იბა "დელისი 3"-ის დაფუძნების შესახებ კრების ოქმში სხვა ყველა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს ფართის შემძენი პირების იბა "დელისი 3"-ის წევრებად მიღების წესის განსაზღვრა და იბა "დელისი 3"-ის თავმჯდომარისათვის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე, ერთპიროვნული უფლებამოსილების მინიჭება.

კრებამ იმსჯელა მოცემულ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება:

იბა "დელისი 3"-ის საერთო ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დადებითად იქნას გადაწყვეტილი ზემოთაღნიშნული კრებაზე დასმული საკითხები.

კრებამ დაადგინა

იბა "დელისი 3"-ის საერთო ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე კრებამ დაადგინა:

1. 2005 წლის 11 მაისის ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ დამოწმებულ (რეესტრი 1-5723) იბა "დელისი 3"-ის დაფუძნების შესახებ კრების ოქმში შევიდეს ცვლილება.
2. ამხანაგობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ფართის შემძენი პირები, იბა "დელისი 3"-თან ხელშეკრულების გაფორმებისას, მშენებლობის დასრულებამდე მიღებული იყვნენ იბა "დელისი 3"-ის წევრებად.
3. იბა "დელისი 3"-ის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე გადაწყვეტილებების მიღებაზე.
4. აღნიშნული კრების ოქმი არის 2005 წლის 11 მაისის ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ დამოწმებული (რეესტრი 1-5723) იბა "დელისი 3"-ის დაფუძნების შესახებ კრების ოქმის დამატება და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელმოწერით

ავთანდილ ოდიშელიძე პ/ნ 01024053003

მურად მეფარიშვილი პ/ნ 01008006203

ვეფხია მამფორია პ/ნ 01004009830

გიზო გოგოძე პ/ნ 01003001523

მალხაზ ღვინიანიძის წარმომადგენელი

გიორგი გოგოძე პ/ნ 01008040523

მერი ბუხრაძეის წარმომადგენელი

ნაირა ასპანიძე პ/ნ 010360052049

ორიათასთოთხმეტი წლის ჩვიდმეტ აპრილს, მე ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **ნაირა ასპანიძემ, გიორგი გოგოძემ, გოზო გოგოძემ, მურად მეფარიშვილმა, ვეფხია მამფორიამ და ავთანდილ ოდიშელიძემ.** მათ წარმოადგინეს *ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა" დელისი 3"-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი* და მოითხოვეს მასზე, მათი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნაირა ასპანიძემ** (დაბადებული: 02.04.1964 წელს ასპინძაში, მისამართი: თბილისი, ც.დადიანის ქ. №193, პირადი №01036005249, პ/მ №ვ 0565993, გაც: 27.09.2004 წელს გლდანი-ნაძალადევის შს ქ/განყოფილების მიერ), **გიორგი გოგოძემ** (დაბადებული: 30.06.1989 წელს თბილისში, მისამართი: თბილისი, გალის ქ. №16, პირადი №01008040523, ბარათის №13IB05721, გაც: 09.07.2013 წელს იუსტიციის სამინიტროს მიერ), **გიზო გოგოძემ** (დაბადებული: 22.09.1959 წელს ვანში, მისამართი: მცხეთა, ფიქრის გორა, პირადი №01003001523, პ/მ №ბ 1017016, გაც: 08.11.2006 წელს სრს მცხეთის სამსახურის მიერ), **მურად მეფარიშვილმა** (დაბადებული: 18.01.1946 წელს ბაღდათში, მისამართი: თბილისი, ქობულეთის I შეს. №5, პირადი №01008006203, პ/მ №ა 0090086, გაც: 18.09.1995 წელს სრს ვაკის სამსახურის მიერ), **ვეფხია მამფორიამ** (დაბადებული: 16.10.1966 წელს ვანში, მისამართი: თბილისი, ლიბანის ქ. 20ა, ბინა1, პირადი №01004009830, ბარათის №13IC72214, გაც: 06.12.2013 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) და **ავთანდილ ოდიშელიძემ**(დაბადებული: 29.08.1949 წელს თბილისში, მისამართი: თბილისი, დელისის ქ. №3, პირადი №01024053003, პ/მ №დ 0662145, გაც: 06.04.2005 წელს სრს საბურთალოს სამსახურის მიერ) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ მათ განეცნარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც ხელმომწერებმა განაცხადეს, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი *კრების ოქმს*, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ოცდათექვსმეტი (36) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. ექვსი (6) ლარი და ორმოცდარვა (48) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39 მუხლისა, სულ გადახდილია: ორმოცდაოთხი (44) ლარი და ორმოცდარვა (48) თეთრი.

ნოტარიუსი: _____ /ნ. გინტური/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140378279 *N140378279*
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.04.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნუნუ გინტური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2935425
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	80790542699814 *80790542699814*

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18